განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

*(სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N 6 საჯარო სკოლა)*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: თამთა კობახიძე

**წევრები:**

ლიკა ხვედელიძე - ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

დემეტრე ნარსია - საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

ეკატერინე ქვანია - საზოგადოებრივი მეცნიერებები

ნინო მოლაშხია - უცხო ენები



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

ნატო შაინიძე - ესთეტიკური ენა

ლილი კაცაძე - ტექნოლოგიები

მზია შევარდნაძე - სახელმწიფო ენა

ლალი აბულაძე - მათემატიკა

ნატო ხაჭაპურიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

ქეთევან ქობალია - სპორტი

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 730058852 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | **ქალაქი ზესტაფონი** |
| იურიდიული მისამართი | **ზესტაფონი კეკელიძის ქ.N14** |
| ფაქტობრივი მისამართი | **ზესტაფონი კეკელიძის ქ.N14** |
| საფოსტო ინდექსი | **2000** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | **სკოლა არ აქვს ვებ-გვერდი** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | **Zestaponi6@mes.gov.ge** |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | **577319555** |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | 811498 - 03.07.2023 |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 11.07.2023 – 12.07.2023 |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
|---|---|---|---|---|
| | ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქ.ზესტაფონი კეკელიძის N14 |
| | ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქ.ზესტაფონი კეკელიძის N14 |
| | ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | ქართული ენა | ქ.ზესტაფონი კეკელიძის N14 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლაში ვიზიტი განახორციელა ცენტრის დირექტორის მოადგილის 3 ივლისის N811498 ბრძანების საფუძველზე. ვიზიტის დღეებად განისაზღვრა 2023 წლის 17 და 18 ივლისი. დაწესებულებაში ადგილზე ვიზიტი განახორციელეს განათლების და საბუნებისმეტყველო საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებმა. სხვა საგნობრივი ექსპერტების ჩართვები განხორციელდა 14:00 საათიდან, ონლაინ თიმსის პლატფორმის გამოყენებით სამ პარალელურ სესიად. თითოეული საგნობრივი ექსპრტისათვის განკუთვნილი იყო შეხვედრის დრო - 1 საათი. საგნობრივმა ექსპერტებმა ყველა საკითხი ამოწურეს პირველ დღეს, შესაბამისად ვიზიტის მეორე დღეს მათი ჩართვების საჭიროება არ დამდგარა.
განათლების ექსპერტებმა სკოლის დირექციასა, ადმინისტრაციულ პერსონალთან და პედაგოგებთან ინტერვიუები გამართეს ვიზიტის მეორე დღეს. გაიმართა შეხვედრები სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის, კურიკულუმის განვითარების, მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საკითხების შესწავლის მიზნით. შეხვედრები ასევე ეხებოდა სკოლის ფინანსური და მატერიალური რესურსების შესწავლის საკითხებს. ექსპერტებმა ასევე დაათვალიერეს სკოლის ინფრასტრუქრუტა ყველა ფიქსირებულ მისამართზე (ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი მისამართი).
ვიზიტი მიმდინარეობა თანამშრომლობით გარემოში. სკოლამ უზრუნველყო სათანადო სამუშაო პირობების შექმნა ექსპერტებისათვის. ყველა მასწავლებელი და ადმინისტრაციული პერსონალი მობილიზებული იყო ვიზიტის ფარგლებში წარმოშობილი საჭიროებისათვის.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

## VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

## I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | **X** შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | **☐ შეესაბამება**<br>**X მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☐ შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | |
|---|---|
| **კომპონენტი 3.2**<br>პერსონალის განვითარება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☐ შეესაბამება<br>X მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br><br>800 | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება<br>☐ | ექსპერტთა ჯგუფი მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას ეთანხმება მხოლოდ შემთხვევაში, თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება სწავლებას განახორციელებს ორ ცვლაში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

## III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა - შეფასდა შესაბამისად
საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა - შეფასდა შესაბამისად
საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა - შეფასდა შესაბამისად

## IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N* | | .............. |
| | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N3.2.* | | ............... |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N3..1* | | |
| | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |

---

**1** გარდა მეორე სტანდრტის ნაილბივი შესაბამისობისა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N...* | | ............... |
| ***3.1.2.3.*** | პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით; | 2020 წლიდან დასაქმებულთა პირად საქმეებში არ ინახება ცნობებ ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმებისა და სქესობრი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლებ ჩამორთმევის შესახებ. შესაბამისობის გეგმის თანახმა აღნიშნული პროცესი უნდა დასტუდეს 15 ნოემბრამდე. |
| *3.4.1.1.* | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას; | სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრ უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახე უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებ სიტუაციების მართვის გეგმა.<br>შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ წარმოადგინა საგანგებ სიტუაციების მართის გეგმა, შეთანხმებული საგანგებ სიტუაციების მართვის სამსახურთან და ასევე აღნიშნულ დამადასტურებელი წერილი. სკოლამ ასევე წარმოადგინა სს |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| | | |
|---|---|---|
| | | ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლას სახელმწიფო სახანძრო დ სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის მიე მიღებული აქვს დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმებ კვლევის დასკვნა. რის საფუძველზეც სკოლამ შ "უსაფრთხოებასთან" გააფორმა ხელშეკრულება სახანძრ საგანგაშო სისტემის პროექტის მოსამზდებლად. პროექტ ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 136 049ლ 46თ. სკოლამ წარმოადგი წერილი ზესტაფონის საგნმანათლებლო რესურსცენტრისადმ რომლის მიხედვითაც ითხოვს აღნიშნული ხარჯებ დაფარვისათვის შუამდგომლობას შესაბამის სტრუქტურებთან. |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | *სასკოლო კურიკულუმი*<br>(*ასახეთ კურიკულუმის დასახელება*) | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N2.2.* | | .............. |
| | | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N3.4.1..* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N.2.2.1..* | | .............. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

| | | |
|---|---|---|
| ***2.2.2.1.*** | სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით; | რიგ შემთხვევებში ასევე უნდა დაზუსტდეს კურიკულუმებში არსებული **რესურსების ჩამონათვალი. (დაწყებით საფეხური).** |
| *2.1.1.1.* | კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლე სასკოლო საზოგადოების ინტერესი შეხედულებების, შესაძლებლობებისა დ პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობა | სახელმწიფო ენასთან მიმართებით **საშუალ საფეხურზე სასურველია მეტი ყურადღება დაეთმ თემასთან შესაბამისი რესურსების შერჩევას.** |

## VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფმა გაიზიარია სკოლის არგუმენტირებული პოზიცია

## ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ზესტაფონის N6 საჯარო სკოლას გააჩნია მისია, ხედვა და ღირებულებები. დოკუმენტი შემუშავებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიური საბჭოსა და დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მონაწილეობით. დოკუმენტაციის შესწავლისა და ინტერვიურების საფუძველზე დადასტურდა, რომ არსებული სკოლის მისია და ხედვა ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან შესაბამისობაშია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა წარმოადგენს სასკოლო საზოგადოებისათვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს: კერძოდ, სკოლას ჰყავს მანდატურები, ექიმი, სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, დისციპლინური კომიტეტი, უცხო პირის შესვლაზე პასუხისმგებელი პირი, სათვალთვალო კამერები. სკოლაში არსებობს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლაში თვალსაჩინოდ გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. არსებობს ცეცხლმაქრები და სახანძრო დაფა. ინტერვიურებისას გამოიკვეთა, რომ როგორც მასწავლებლები, ასევე ადმინისტრაციული პერსონალი სრულად იზიარებს უსაფრთხოებასა და

განვითარებაზე ორიენტირებული გარემოს შექმნის ძირითად პრინციპებს - თანამშრომლობას, ხელშეწყობას, უსაფრთხოების წესების დაცვა და ა.შ. სკოლაში არსებობს მრჩეველთა საბჭო. წესრიგის დაცვის მიზნით სართულებსა და სექტორებს შორის განაწილებულია მასწავლებელთა მორიგეობა. არსებობს პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციებში მოქმედების გეგმა. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ უზრუნველყოფისათვის დაწესებულება ჩართულია სხვადასხვა პროექტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც ვიზიტის დროს ინტერვიუებისას გამოიკვეთა, სკოლაში მიმდინარე მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტის შემუშავება დაიწყო 2021-2022 სასწავლო წელს. ჩატარდა გამოკითხვები მშობლებთან და საჭიროებების ანალიზი კათედრების მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მიერ, რაც გამოიხატება სკოლაში ჩატარებული სხვადასხვა სახის ღონისძიებებით, რომლებიც დოკუმენტირებულია. ინტერვიურების პროცესში სკოლის ადმინისტრაციამ ასევე აღნიშნა, რომ პრობლემას წარმოადგენს საშუალო საფეხურის მოსწავლეთა მშობლების ჩართულობა სასკოლო ცხოვრებაში სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, განსაკუთრებით პრობლემური კი ემიგრაციის საკითხია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის საქმიანობის ამსახველი მასალები ხელმისაწვდომია სკოლის სოციალურ ქსელში. სკოლაში არსებობს საინფორმაციო დაფა. ასევე კლასის დამრიგებლები სკოლის საქმიანობაზე მშობელთა ინფორმირებას ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას. დაგეგმილია დოკუმენტის საჯარო პრეზენტაცია სექტემბრის დასაწყისში და ემიგრანტი მშობლების ინფორმირება სოციალური ქსელის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების დოკუმენტი;
- სსიპ - ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სოციალური ქსელი;
- ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შესახებ.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
### 1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას გააჩნია დაგეგმვისა და განვითარების მეთოდური მიდგომის გამოცდილება. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვისა მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს სტრატეგიული გეგმის გაზიარების პროცედურებს, გეგმის შემუშავების პროცესის აღწერას, მონიტორინგისა და შეფასების პროცესებისა და ცვლილებების შეტანის ეტაპების აღწერას. აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი დოკუმენტების უმრავლესობა, ამ შემთხვევაში კი სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია სკოლის ინდივიდუალური პროდუქტია და ეფუძნება მის გამოცდილებას, შესაბამისად, ინტერვიურების პროცესში დადადსტურა ყველა ის ეტაპი, რაც მეთოდოლოგიაშია წარმოდგენილი. ინტერვიურებისას ასევე გაირკვა, რომ სკოლას აქვს მზაობა დახვეწოს და განავითაროს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი. შესაბამისად, სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის კიდევ უფრო გაუმჯობესება იგეგმება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ვიზიტის პერიოდში სკოლას დაწყებული ჰქონდა ახალ სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებზე მუშაობა. ამ ვიზიტის ეტაპზე წარმოადგინა 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი. გეგმა შვიდწლიანია და შეესაბამება მეთოდოლოგიის დოკუმენტში აღწერილ პროცესებსა და პროცედურებს. პედაგოგებმა დაადასტურეს პროცესში ჩართულობა, სკოლამ წარმოადგინა უკვე განხორციელებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია (SWOT ანალიზი, გამოკითხვის

შედეგები, რეფლექსიები). ვიზიტი პერიოდში დადასტურდა, რომ სკოლას აქვს მზაობა ახალი სასწავლი წლის დაწყებამდე დაამტკიცოს სტრატეგიული განვითარების გეგმა სრულყოფილი სახით. სკოლამ შესაბამისობის გეგმის თანახმად წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 4 სექტემბრის 2-188 ბრძანებით დატკიცებული შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. ვიზიტის დროს, ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ სკოლა ამჟამად მუშაობს სამოქმედო გეგმაზე, რომელიც შესაბამისი იქნება სტრატეგიული განვითარების გეგმისა. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა პრაქტიკა, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მომავალი წლის გეგმის პრიორიტეტული საკითხები განიხილება სასკოლო საზოგადოებასთან და იგეგმება ახალი სასწავლო წელი არსებული გამოწვევების შესაბამისად. სკოლაში მიმდინარე პროცესები იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ სკოლას აქვს მზაობა ახალი სტრატეგიული გეგმის შესაბამისად შეიმუშავოს მოქმედო გეგმა. შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, ასევე სამერუვეო საბჭოს ოქმი, დათარიღებული 8 სექტემბრით, რომლითაც დასტურდება სამოქმედო გეგმის სამეურვეო საბჭოზე განხილვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ვიზიტის ეტაპზე სკოლაში მიმდინარეობდა მუშაობა სამოქმედო გეგმის შედგენასთან დაკავშირებით. გეგმის სამუშაო ვერსი არასრულყოფილია, თუმცა ის მოიცავს სტრატეგიული გეგმის შესაბამის აქტივობებს, ვადებსა და პასუხისმგებელ პირებს. სკოლას აქვს მზაობა ახალი სასწავლო წლისათვის დაასრულოს სამოქმედო გეგმაზე მუშაობა. შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც მოიცავდა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობებს, შესრულების გაზომვადი ინდიკატორებს, რეალისტური ვადებს, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსების ჩამონათვალს.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სტრატეგიული განვითარების გეგმის პროექტი (2023-2030);
- სამოქმედო გეგმის სამუშაო ვერსია;
- სამეურვეო საბჭოს ოქმები;
- შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2023 წლლის 9 სექტემბრის 2-188 ბრძანება სტრატეგიული გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი #4;

### 1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების  გამოცდილება და შემუშავებული აქვს ინდივიდუალური „სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი“, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას გადაწყვეტილი აქვს მონიტორინგისა და შეფასების სისტემის სრული მოდიფიცირება. სკოლას ასევე აქვს კონკრეტულ აქტივობებზე (მაგ. სამოქმედო გეგმის შესრულება, კითხვარის დამუშავება) გაწერილი გეგმა შესრულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

თარიღებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს მზაობა რომ ახალ სტრატეგიულ გეგმასთან ერთად შედგეს ამ გეგმის მონიტორინგის მეთოდოლოგიის სრუყოფილი დოკუმენტი. შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის სტულყოფილი დოკუმენტი. დამტკიცებული სკოლის დირექტორის 4 სექტემბრის 2-184 ბრძანებთ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს საზოგადოების წევრებისაგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინების საშუალება ( სოცქსელი, ელ.ჟურნალის კომენტარები, პროექტები/ ღონისძიებები, კვლევები); სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას. სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება ორჯერ: შუალედური და შემაჯამებელი მონიტორინგი და შეფასება. შუალედური ტარდება სტრატეგიული გეგმის განხორციელების დაწყებიდან მესამე სასწავლო წლის ბოლოს, ხოლო შემაჯამებელი შეფასება ვადის გასვლისას. მონიტორინგი ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით: ინტერვიუ, დოკუმენტაციის შესწავლა, დაკვირვება და შეფასება, თუ რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგია. მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს სკოლის მიერ შექმნილი მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი, რომელიც შედგება მინიმუმ 3 წევრისგან. ჯგუფს ჰყავს თავმჯდომარე.

სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას ახორციელებს ამ მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფი წლის განმავლობაში ორჯერ. სამუშაო წლის შუალედში და წლის ბოლოს. სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების სამუშაო ჯგუფის ორგანიზებით იმართება გაერთიანებული შეხვედრა, რომელსაც ესწრებიან სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. როგორც ინტერვიუებიდან გამოიკვეთა სკოლა სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს ავრცელებს კათედრების მეშვეობით, რომელიც აქამდე არ ყოფილა დაოქმებული. სამომავლოდ იგეგმება შედეგების სკოლის სოციალურ ქსელში და ვებ-გვერდებზე გაზიარება. სკოლას აქვს მზაობა ახალი სტრატეგიული გეგმა და მისი განხორციელების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შედეგები გაუზიაროს სასკოლო საზოგადოებას, ახალი სასწავლი წლის დაწყებისთანავე. შესაბამისობის გეგმით წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა და შედეგების გაზიარება. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ კათედრის სხდომებზე, პედაგოგიურ საბჭოსა და სხვა არაფორმალურ შეხვედრებზე მუდმივად განიხილება სკოლის წინაშე არსებული პრობლემებიდ და მათი გადაჭრის გზები. განხილული პრობლემების საფუძველზე კი იგეგმება სამომავლო აქტივობები. ინტერვიურების საფუძველზე დადასტურდა სკოლაში ამგვარი პრაქტიკის არსებობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- მიმდინარე წლის სამოქმედო გეგმა;
- კითხვარებისა და სამოქმედი გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების შესახებ არსებული დოკუმენტაცია;
- სკოლის დირექტორის 4 სექტემბრის ბრძანება #2-184.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებულ საშტატო განრიგში ჰყავს თანამშრომლები, რომლებთანაც გაფორმებული აქვს შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელშიც მათი ფუნქციებია განსაზღვრული. ასევე სკოლაში მოქმედებს სტრუქტურული ერთეულები, მათი ჩამონათვალი სკოლამ წარმოადგინა დამატებითი დოკუმენტის სახით და სკოლას აქვს მზაობა შეიმუშაოს სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულები მიუხედავად იმისა რომ მათი ფუნქციების განმსაზღვრელი დოკუმენტი ცალკე არ არის გაწერილი, ასრულებენ მათზე კანონით დაკისრებულ ფუნქცია-მოვალეობებს, რაც განსაზღვრულია კანონით ,,ზოგადი განათლების შესახებ“, სკოლის წესდებით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი 2022 წლის 21 მარტის #41/ნ 01-23/ნ ბრძანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის #16/ნ ბრძანებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. სკოლაში არსებული სტრუქტურული ერთეულების კოორდინირებული მუშაობა ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას. სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილებისას მნიშვნელოვანია სტრატეგიული გეგმის ფარგლებში დასახული მიზნების მიღწევა. სკოლაში მოქმედი პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმართველობა დროულად და დადგენილ ვადებში იღებენ გადაწყვეტილებას მათი ფუნქცია-მოვალეობების ფარგლებში და შეხვედრის შემდეგ ადგენენ შესაბამის ოქმს. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, მათი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია სასკოლო სასწავლო გეგმით. სასწავლო წლის დასაწყისში ისინი ირჩევენ კათედრის თავმჯდომარეს, მდივანს, იმუშავებენ კათედრის სამოქმედო გეგმებს. საგნობრივი კათედრები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სასკოლო კურიკულუმის განხორციელებასა და განვითარებაში. სასწავლო წლის განმავლობაში ატარებენ და ესწრებიან კათედრების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებებს, უკუკავშირს აძლევენ ერთმანეთს, ხოლო წლის ბოლოს განიხილავენ განვლილ მუშაობას, წარადგენენ ანგარიშებს და ერთმანეთს უზიარებენ შემუშავებულ რეკომენდაციებს. სკოლის დირექტორის უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია დირექტორის ეთიკის კოდექსის შესაბამისად, ხოლო მასწავლებლის უფლება-მოვალეობები მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის შესაბამისად. სკოლას ახალი შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელზე დაყრდნობითაც გეგმავს შემდგომი საქმიანობის წარმართვას. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- შრომითი ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი
- მოსწავლეთა თვითმმართველობის სხდომის ოქმი
- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი
- სკოლის სტრუქტურა
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმა
- სასკოლო სასწავლო გეგმა

### 3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. პერსონალის მართვის პროცესები კანონმდებლობასთან შესაბამისიობაშია, სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსებისა მართვისა და განვითარების მექანიზმები, რომელიც მოიცავს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მიზნებს, ამოცანებსა და სტრატეგიას, აზუსტებს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის როლს სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში, წარმოდგენილია სკოლის ადამინური რესურსებისა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გზები. სტრატეგიული გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, სკოლის შინაგანაწესი, თანამშრომელთა ხელშეკრულებები ეხმარება სკოლას ადამიანური რესურსების მართვის პროცესების სრულყოფილად წარმართვაში. თანამშრომლის მიღების შემთხვევაში მასთან ფორმდება ხელშეკრულება, რომელშიც მკაფიოდაა გაწერილი მისი უფლება-მოვალეობები, თანამშრომლები ეცნობიან სკოლის შინაგანაწესს, რაც შინაგანაწესზე მათი ხელმოწერებით დასტურდება. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შიდა ვაკანსიისა და გარე ვაკანსიის გამოცხადების წესი. ვაკანსიის შემთხვევაში სკოლა მზადაა იმოქმედოს დამტკიცებული წესის შესაბამისად. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა მორგებულია სკოლის საჭიროებებზე. საჭიროებებიდან გამომდინარე ხდება ინტერვენციის განხორციელება. თანამშრომლებზე გარკვეული უფლება-მოვალეობების ან პასუხისმგებლობის დაკისრება ხდება დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით მათი შესაძლებლობების და საშემსრულებლო პასუხისმგებლობის გათვალისწინებით. მასწავლებლებს ყოველწლიურად აქვთ შესაძლებლობა გაიარონ პროფესიული განვითარებისათვის საჭირო ტრენინგები, ხოლო მიღებული ცოდნა გაუზიარონ კოლეგებს და გადაიტანონ პრაქტიკაში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს შიდა და გარე კონკურსის გამართვის წესი. სკოლას 2021 წელს ქონდა გამოცხადებული სპორტის ვაკანსია. სკოლაში კონკრეტულ პოზიციაზე ვაკანსიის გაჩენის შემთხვევაში დირექტორის ბრძანებით ცხადდება კონკურსი და იქმნება საკონკურსო კომისია. (მასწავლებლის შემთხვევაში ჯერ შიდა კონკურსი, შემდეგ ღია). შიდა კონკურსის შემთხვევაში საჯარო სივრცეში ცხადდება ვაკანსია, ხოლო ღია კონკურსის შესახებ - საჯაროდ, ვებგვერდზე: www. pedagogi.ge / teachersjobs.ge. ვაკანსია მოიცავს საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალს,

რასაც უნდა აკმაყოფილებდეს აპლიკანტი, კონკურსის ეტაპებს. აპლიკანტს სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად ეძლევა შესაძლებლობა გაასაჩივროს კონკურსის შედეგები. კონკურსი ძირითადად მიმდინარეობს ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ხდება აპლიკანტების მიერ წარმოდგენილი საბუთების გადარჩევა, რაც გამორიცხავს არაკვალიფიციური კადრის მოხვედრას თანამდებობაზე და მეორე ეტაპზე ხდება აპლიკანტის პიროვნული და პროფესიული უნარების გამოკვლევა გასაუბრების გზით. კომისია შესაბამის რეკომენდაციას წარუდგენს სკოლის დირექტორს შერჩეული კანდიდატის თაობაზე. დირექტორი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით უფორმებს მასწავლებელს შრომით ხელშეკრულებას. 2020 წლიდან დასაქმებულთა პირად საქმეებში არ ინახება ცნობები ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემოწმებისა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, უფლების ჩამორთმევის შესახებ. შესაბამისობის გეგმის თანახმად აღნიშნულის უზრუნველყოფა დაგეგმილია 15 ნოემბრამდე. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

4. სკოლაში დასაქმებულ მასწავლებელთა კვალიფიკაცია შეესაბამება კარიერული წინსვლისა და განვითარების სქემას. პერსონალის პირადი საქმეების გადამოწმებითაც დასტურდება კადრების კვალიფიკაცია. თუმცა, კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნების რაიმე შემუშავებული ცალკე აღებული დოკუმენტი სკოლას არ აქვს შესაბამისად ვერ დგინდება რამდენად კვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული სკოლის პერსონალი. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მართვისა და დაგეგმვისთვის საჭირო გადაწყვეტილებების მიღება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობითა და თანამშრომლობით. სკოლაში შექმნილია ისეთი სამუშაო გარემო, რომელიც საშუალებას აძლევს დასაქმებულ პირებს თავისუფლად წარმოაჩინონ საკუთარი შესაძლებლობები და განავითარონ პიროვნული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

უნარ-ჩვევები, მათ ეძლევათ გარკვეული თავისუფლება, მიიღონ გადაწყვეტილებები და აიღონ პასუხისმგებლობი. თვალსაჩინოა, რომ სკოლა მუშაობს გუნდური პრინციპით, რა დროსაც თანამშრომლებს შორის ხდება გამოცდილების გაზიარება, წარმატებული სამუშაო პრაქტიკის დანერგვა და განზოგადება. სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის გუნდი ადგენს მასწავლებელთა საჭიროებებს, ერთად გეგმავენ საჭიროებაზე დაფუძნებულ განვითარების გზებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია,**

6. . სკოლა უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელის საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაწერილია სკოლის საქმიანობაში ჩართული პირების პასუხიმგებლობები, სკოლა აცნობს დოკუმენტს სასკოლო საზოგადოების წევრებს და ისმენს მათ მოსაზრებებს. კათედრის წევრები ფორმალურ თუ არაფორმალურ შეხვედრებზე განიხილავენ და მსჯელობენ ერთობლივად სწავლა-სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და მიდგომების დანერგვასთან დაკავშირებით. სკოლის ბაზაზე პროფესიული განვითარება ეფუძნება გუნდურობას და თანამშრომლობას. რაც დადასტურებულია სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და თანამშრომელთა ინტერვიუს შედეგად. სკოლისთვის თითოეული მასწავლების წარმატება მნიშვნელოვანი და ღირებულია. ძალინ დიდი მნიშვნელობა ენიჭება წარმატებული გამოცდილების გაზიარებას და სასკოლო საზოგადოების მუდმივ ინფორმირებულობას ამ კუთხით. სკოლის მასწავლებელბი აქტიურად ღებულობენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში, კონკურსებში, კონფერენციებსა თუ ოლიმპიადებში. სკოლის მასწავლებლების წარმატებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება სისტემატიურად ხდება სკოლის ფეიბუქ გვერდის საშუალებით, აღინიშნება პედაგოგიურ საბჭოზე თუ საინფორმაციო შეხვედრაზე. სკოლას მასწავლებელთა წახალისების სახეები

გაწერილი აქვს სკოლის შინაგანაწესშიც. მათ დაჯილდოებას ახდენს როგორც სიგელითა და დიპლომით, ასევე ფულადი პრემიით. გამოცდილების გაზიარების მიზნით ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებაც, იგეგმება და ხორციელდება ერთობლივი სასკოლო თუ საკლასო პროექტები. აღნიშნული დასტურდება დოკუმენტაციითა და ინტერვიუს შედეგად და სკოლის ფეისბუქ გვერდით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.
- სკოლის შინაგანაწესი
- თანამშრომელთა ხელშეკრულებები
- შიდა და ღია კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების ბრძანებები
- პერსონალის პირადი საქმეები (კადრების აღრიცხვის ფურცელი, ტრენინგების გავლის ჩანაწერები)
- პრემიის გაცემის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება, რომლის მიხედვითაც წესრიგდება ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის და პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში ჩართულ მასწავლებელთა საქმიანობა. პროფესიული განვითარების საჭიროებების დადგენის მექანიზმად სკოლა იყენებს მასწავლებეთა თვითშეფასებებს. სკოლას შემუშავებული დოკუმენტი ადამიანური რესურსები მართვის შესახებ. დოკუმენტში აღწერილია პერსონალის განვითარების სტრუქტურა, ამოცანები, პერსონალის როლი სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორ ახდენს სკოლა პერსონალის საქმიანობის შეფასებას, ანალიზს და როგორ უნდა განახორციელოს შესაბამის ინტერვენციები. აღნიშნული დოკუმენტი თანხვედრაშია ერთწლიან სამოქმედო გეგმასთან. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. მასწავლებელთა საქმიანობაზე დაკვირვებისა და შეფასების, მასწავლებელთა თვითშეფასების, უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის ჯგუფის სხდომაზე განიხილება მასწავლებელთა საჭიროებები და განსახორციელებელი ღონისძიებები. მასწავლებელთა საჭიროებების შესაბამისად იგეგმება სხვადასხვა აქტივობა. მათ შორის: თანამშრომლებს შორის გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა სახის ტრენინგის ჩატარება, მასწავლებელთა გადამზადება და ა. შ. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ სხვა პერსონალს, დირექციასთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ მათზე სისტემატურად ხორციელდება მონიტორინგი ძირითადად დაკვირვების და ხელშეკრულებებში გაწერილი მოვალეობების შესრულების ხარისხით. ასევე კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, სკოლა ადგენს, რა მიმართულებით სჭირდება პერსონალს განვითარება-გადამზადება. სკოლაში არსებული დოკუმენტაციით დასტურდება, რომ მასწავლებლები ჩართულნი არიან როგორც სავალდებულო ტრენინგებში, ასევე სხვადასხვა პროექტების მიერ შემოთავაზებულ ტრენინგებში, სემინარებსა და ქოუჩინგში. ლიდერ მასწავლებელთა მუშა ჯგუფი, ჩართულია USAID-ის საბაზისო განათლების პროექტში, მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება ხდება კოლეგებთან. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებლისთვის პროფესიული საჭიროებების განვითარების გზების მოძიებას და შეთავაზებას, როგორც სკოლის ბაზაზე, ასევე სკოლის გარე სერვისებით. როგორც სამოქმედო გეგმაშია გაწერილი და ინტერვიუებმაც აჩვენა, რომ უწყვეტად მიმდინარეობს საგაკვეთილო დაკვირვებების ციკლი, განმავითარებელი უკუკავშირის მიცემით. ყურადღებას მახვილდება რომ მასწავლებლის პროფესიული განვითარება უკავშირდებოდეს მოსწავლეთა შედეგებს. მასწავლებლები აკეთებენ საკუთარი პრაქტიკის რეფლექსიას მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე და მათი საჭიროებების შესაბამისად ახორციელებენ ინტერვენციებს სასწავლო პროცესში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ხშირად არის გაზიარებული ინფორმაცია მასწავლებელბისთვის პროფესიული განვითარების სხვადასხვა შესაძლებლობების შესახებ, სკოლა ადევნებს თვალს ასევე ამ შესაძლებლობას თუ იყენებენ მასწავლებელები და მერე როგორ ნერგავენ პრაქტიკაში. სკოლაში მუშაობს სასწავლო ჯგუფები, რაც ერთ ერთი საუკეთესო გზაა პროფესიული განვითარებისთვის. სკოლის დირექცია მაქსიმალურად ცდილობს სკოლა ჩართოს სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივ პროექტებში, რაც თავის მხრივ უზრუნველოყოფს სკოლის პერსონალის პროფესიულ განვითარებას. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ახალი კადრი 2021 წელს მიიღეს. მას ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, გააცნეს სკოლის შინაგანაწესი, სკოლაში დამკვიდრებულ წესები და ტრადიციები, რაც ხელს უწყობს ორგანიზაციის კულტურასთან შეგუების პროცესს. სკოლის პერსონალისთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, ექიმის კაბინეტი. სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის საჭირო შესაბამისი ინფრასტრუქტურით. სკოლაში შექმნილია კოლეგიალური, კეთილგანწყობილი, ხელშემწყობი გარემო თანამშრომლების სამუშაოსთან ინტეგრაციის მიზნით. ამ **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთმხარდაჭერის ატმოსფერო, რომელიც ხელს უწყობს სკოლის პერსონალის თვითრეალიზაციას და მათი იდეების რეალიზებას. სკოლაში რეგულარულად ტარდება საგნობრივი თუ სასკოლო კვლევები, რისთვისაც მათ აქვთ შესაბამისი სამუშაო პირობები და რესურსები. სკოლაში წახალისებულია წარმატებული მასწავლებელი ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისა და მოსწავლეთა აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის. ასეთ მასწავლებლებს სკოლა აჯილდოებს სიგელებით, პრემიებით. სკოლა ახალისებს მასწავლებელთა ინიციატივებს პროექტებში მათ



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მონაწილეობას. შიდა საკლასო თუ სასკოლო პროექტების დაგეგმვა - განხორციელებას. ასევე სკოლა ინფორმაციას აღნიშნულის შესახებ ათავსებს სკოლის ფეისბუქგვერდზე. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი*
- *ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*
- *ტრენინგების შემდეგ გაცემული ცნობები და სერთიფიკატები (მასწავლებლების პირადი საქმეები)*
- *ხარისხის განვითარების ჯგუფის ბრძანება*
- *მასწავლებელთა შეხვედრის ოქმები*
- *გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება სკოლის მისიას, მიზნებს, სასკოლო სასწავლო გეგმას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა მოიცავს საგაკვეთილო და კლასგარეშე საქმიანობას, მასწავლებელთა პროფესიული დონის ამაღლებაზე ზრუნვას, სწავლა-სწავლების თანამედროვე მიდგომების დანერგვას, სწავლის ხარისხის ამაღლებას, მშობლებთან კომინიკაციის გააქტიურებას და ა.შ. ამ მიმართულებების მართვა არის ერთი მთლიანი პროცესი, რომელიც რეგულირდება სასკოლო კურიკულუმით, სკოლის შინაგანაწესით და სხვა დოკუმენტაციით. ეფუძნება პროცედურულ მიდგომებს, რომელშიც გათვალისწინებულია თითოეული მიმართულების ხარისხობრივი მაჩვენებელი. სწორედ ამის საფუძველზე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისი ღონისძიებები. ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ სკოლის პერსონალს გააზრებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა, დანერგვა, მონიტორინგი და შეფასება, რევიზია. აღნიშნული დასტურდება ასევე ოქმებით, მასწავლებელთა რეფლექსიებით. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელშიც გაწერილია სკოლის

ვალდებულებები ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ხარისხზე პასუხისმგებელი პირები, პროცედურები და მექანიზმები. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული პროცედურები სკოლაში არსებული მმართველობითი სტრუქტურული ერთეულების მიერ შემუშავებული გეგმით ხორციელდება. სკოლაში მიმდინარე პროცესები კანონმდებლობის შესაბამისია და ხელს უწყობს სამოქმედო გეგმისა და სკოლის მისიის შესრულებას. დოკუმენტაციის შესწავლით და გასაუბრებებით დადასტურდა, რომ სკოლა გააზრებულად მართავს მმართველობით, ძირითად და დამხმარე პროცესებს, კერძოდ, სკოლა შეიმუშავებს წლიურ სამოქმედო გეგმას, რაც შემდგომ აისახება კურიკულუმის შემუშავებასა და განხორციელებაში, შესაბამისად სწორად იმართება ფინანსური, ადამიანური და მატერიალური რესურსები, დაცულია უსაფრთხოება და წესრიგი, სკოლა ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. სკოლა პროცესებს მართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი და სკოლის შიდა დოკუმენტებით, რომელშიც შედის სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა, თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები და სხვ. რაც შეეხება, კონკრეტულ, ცალკე აღებულ დოკუმენტს, სადაც მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების ჩამონათვალი და მათი აღწერები იქნება, სკოლას არ წარმოუდგენია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**ს
3. კოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში ტარდება სკოლის კანცელარიაში, რომლის შემდეგაც მიიღება შესაბამისი ზომები. შემოსული საჩივრით დისციპლინური გადაცდომის, ნიშნების გასაჩივრების საკითხს იხილავს სკოლის დირექტორი ან/და დისციპლინური კომიტეტი უფლებამოსილების ფარგლებში. სკოლის დირექტორის და დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილება განსაზღვრულია მოქმედი კანონმდებლობით. ცალკეული პროცედურული საკითხები დარეგულირებულია სკოლის შინაგანაწესით. თანამშრომლების, მოსწავლეების, მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების სურვილის შემთხვევისთვის, ასევე, საჩივრის განხილვის ეფექტურობისთვის სკოლაში მუშაობს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

კონკურსების შემთხვევაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. დანერგილია სემესტრული ნიშნის გასაჩივრების მექანიზმი და პროცედურა. ეს პროცედურა აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმაში. ცალკე აღებული დოკუმენტი, სადაც გასაჩივრების დეტალური პროცედურებია გაწერილი სკოლას არ წარმოუდგენია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის პერსონალისა და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას უზრუნველყოფს სკოლის შინაგანაწესი. შინაგანაწესი ადგენს სკოლაში სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის ორგანიზებას, საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრავს ამ პროცესის მონაწილეთა უფლება-მოვალეობებს, ასევე სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს. შინაგანაწესი ვრცელდება სკოლის მასწავლებლებზე, თანამშრომლებზე, მოსწავლეებსა და მათ კანონიერ წარმომადგენლებზე და სავალდებულოა შესასრულებლად; აღნიშნული დოკუმენტით სასკოლო საზოგადოება ინფორმირებულია საკუთარი უფლებების შესახებ. კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმებია: მანდატურის სამსახური, მრჩეველთა საბჭო, 26 სათვალთვალო ვიდეოკამერა. სკოლაში არის პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც უპირველესად ხორციელდება შინაგანაწესზე დაყრდნობითა და კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენელთა ყოლითა და მათი ინტერესების დაცვით. სკოლის პერსონალი და მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები აქტიურად არიან ჩართულნი სასკოლო თუ საკლასო პროექტებში. ხშირია სხვადასხვა არხით მიღებული მშობელთა დადებითი უკუკავშირები. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალისა და მშობელთა უფლებები ძირითადად დისციპლინური წარმოების წესთან მიმართებაში. ცალკე აღებულ დოკუმენტად პერსონალის და მშობლის/კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები სკოლას არ წარმოუდგენია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- ხარისხის განვითარების ჯგუფის დებულება
- სკოლის სოციალური გვერდი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი დისციპლინური კომიტეტის არჩევის თაონბაზე
- მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი
- სემესტრული გამოცდის დანიშვნის ბრძანება
- კათედრის სხდომის ოქმები
- შინაგანაწესი

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების საშუალებები, როგორიცაა: საინფორმაციო დაფა, სოციალური ქსელი-სკოლის ფეისბუქგვერდი,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

დახურული ჯგუფები, სკოლის ელექტრონული ფოსტა, eflow, Teams-ის პლატფორმა, ელექტრონული ჟურნალი, სატელეფონო კომუნიკაცია. სკოლა ამ მიმართულებით კარგად იყენებს მშობელთა კრებებს, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებს, სასკოლო თუ საკლასო პროექტებს. სხვადასხვა გზით ხდება უკუკავშირის მიღება მშობლებისგან, რაზეც ხორციელდება შესაბამისი რეაგირება. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

მშობელთა აქტიური ჩართულობა დადებითად აისახება სასკოლო საზოგადოებაზე, მასწავლებლებზე, მშობლებსა და მოსწავლეებზე. სკოლა ხელს უწყობს მშობლის ჩართულობას როგორც მართვის, ასევე, უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებასა და რეალიზებაში. სკოლა ქმნის პირობებს იმისათვის, რომ მშობელმა ითანამშრომლოს დირექციასთან, მასწავლებლებსა და ტექნიკურ პერსონალთან, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის გამარტივებასა და საჭირო ინფორმაციის დროულად ურთიერთგაცვლასა და მიწოდებას. სკოლას დამტკიცებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია). ამიტომ, **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. მშობელთა, მოსწავლეთა, მასწავლებელთა მონაწილეობა სკოლის მართვაში გამოიხატება იმით, რომ ისინი წარმოდგენილი არიან წევრებად სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულში. კერძოდ, სკოლის სამეურვეო საბჭო კომპლექტდება მშობლებისა და პედაგოგების თანაბარი და თვითმმართველობის 1 წევრისგან. მათი წარმომადგენლობა აღნიშნულ ერთეულში უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში მშობლების მონაწილეობის შესაძლებლობას. დისციპლინური გადაცდომების განხილვაში აქტიურ მონაწილეობას იღებს მშობელი, იქიდან გამომდინარე, რომ მშობელთა წარმომადგენელი არის დისციპლინური კომიტეტის წევრი. სასწავლო წლის დასაწყისში, იმართება კრება, სადაც დამრიგებლები მშობლებს აცნობენ სკოლის შინაგანაწესს, მოსწავლეთა შეფასების სისტემას, სახელმძღვანელოების ნუსხას, ასევე, აწვდიან ინფორმაციას, დამატებითი და ინდივიდუალური გაკვეთილებისა და იმ

ღონისძიებების შესახებ, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სასწავლო წლის განმავლობაში. გარდა ამისა, იმართება დამრიგებლისა და უშუალოდ საგნის პედაგოგობების შეხვედრები მშობლებთან უშუალოდ სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მშობელთან ურთიერთობის დებულება
- სამეურვეო საბჭოს არჩევის ოქმი
- დისციპლინური კომიტეტის არჩევის ოქმი

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა მოსწავლეებისათვის, მასწავლებლებისთვის და თანამშრომლებისთვის ქმნის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს. სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. სკოლაში განთავსებულია ცეცხლმაქრები და საევაკუაციო გეგმები. ფუნქციონერებს საევაკუაციო გასასვლელები. სკოლას მიღებული აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, რომელთა აღმოფხვრა სკოლას თავსი სახსრებით არ შეუძლია, შესაბამისად მან წერილით მიმართა ზესტაფონის საგანმანათლებლო რესურსცენტრს შუამდგომლობა გაუწიოს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან აღნიშნული პრობლემს მოგვარებაში. სკოლაში ფუნქციონირებს ექიმის კაბინეტი და რესურსოთახი. მოსწავლის სკოლაში გამოუცხადებლობის შემთხვევაში დამრიგებელი გაცდენის მიზეზის დასადგენად მობილურით ან მესენჯერით უკავშირდება მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. სკოლაში დირექტორს ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით დამტკიცებული ჰყავს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრხოებაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში მოქმედებს მანდატურის სამსახური, რომელთან აქტიური თანამშრომლობთ მინიმუმამდეა დაყვანილი მოსწავლეთა მხრიდან დარღვევების ფაქტები. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი აღჭურვილია ვიდეო- სამეთვალყურეო კამერებით. სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მთავარი ფუნქცია დირექტორისთვის ამ მიმართულებით რეკომენდაციების მიცემაა. სკოლას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

ჰყავს ექიმი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს მოსწავლეს და მასწავლებელს. სკოლას შემუშავებული აქვს პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო შტაბი. სკოლას არ აქვს დასკვნა შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა.

შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ წარმოადგინა საგანგებო სიტუაციების მართის გეგმა, შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან და ასევე აღნიშნულის დამადასტურებელი წერილი. სკოლამ ასევე წარმოადგინა სსიპ ქალაქ ზესტაფონის N6 საჯარო სკოლას სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობის სამსახურის მიერ მიღებული აქვს დეტალური სახანძრო-ტექნიკური შემოწმების კვლევის დასკვნა. რის საფუძველზეც სკოლამ შპს "უსაფრთხოებასთან" გააფორმა ხელშეკრულება სახანძრო-საგანგაშო სისტემის პროექტის მოსამზდებლად. პროექტის ხარჯთაღრიცხვა შეადგენს 136 049ლ 46თ. სკოლამ წარმოადგინა წერილი ზესტაფონის საგნმანათლებლო რესურსცენტრისადმი, რომლის მიხედვითაც ითხოვს აღნიშნული ხარჯების დაფარვისათვის შუამდგომლობას შესაბამის სტრუქტურებთან.

**ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები მეტწილად არის დაკმაყოფილებული.**

2. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 იანვრის N06/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობების“ საფუძველზე შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლაში 26 სათვალთვალო ვიდეოკამერაა, რომელიც საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით ახორციელებს ვიდეოთვალთვალს, უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს, რომლის მონიტორი განთავსებულია მანდატურის ოთახში და მასზე წვდომა მხოლოდ

მანდატურებს აქვთ. სკოლის მანდატურები უზრუნველყოფენ სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას. სასკოლო საზოგადოებისა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვა ხდება მასწავლებელთა მორიგეობით, ექიმის მომსახურებით, მანდატურებით, სახანძრო უსაფრთხოების სისტემით. შენობასა და ეზოს პერიმეტრზე უცხო პირთა შემოსვლა-გადაადგილება კონტროლდება. სკოლაში შემოღებულია მასწავლებელთა მორიგეობა, რომლებიც თვალყურს ადევნებენ სასკოლო დერეფნებსა და სკოლის ეზოს ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას. სკოლაში მოქმედებს თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი. საკლასო ოთახებში წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელია საგნის მასწავლებელი და კლასის ხელმძღვანელი. სკოლაში შემომსვლელი ყველა უცხო პირი ტარდება სარეგისტრაციო ჟურნალში. თუმცა სკოლას არ აქვს შემუშავებული საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი.

შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული მექანიზმი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2-189 ბრძანებით. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს, რაშიც მოსწავლეებს საჭიროების შემთხვევაში მშობელთა თანხმობით დახმარებას უწევს მანდატურის ფსიქოლოგიური სამსახური მოსწავლეთა რეფერირების საშუალებით. კლასის ხელმძღვანელთა მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის გამომწვევი მიზეზების მოკვლევასა და შესაბამის რეაგირებას, მშობელთა დამოკიდებულებებს და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. მათი მხრიდან ხშირად იმართება პრევენციული ღონისძიებები ბულინგის საწინააღმდეგოდ. ასევე ახდენენ ბავშვთა უფლებების გაცნობას. სკოლაში ჰყავთ 2 სპეციალური მასწავლებელი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პირის ასისტენტი. სკოლა ჩართულია სოციო-ემოციური უნარების განვითარების ესტონურ პროექტში, რომელიც შეეხება CLANBEAT აპლიკაციის დანერგვას. პროექტი მოიცავს გაკვეთილის მსვლელობისას მოსწავლეებზე დაკვირვებას და შეფასებას. ფსიქოლოგიურად და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფის მექანიზმები, ასეთი სახის დოკუმენტი, სკოლას არ წარმოუდგენია.

შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტურად - ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია როგორც სკოლის შიდა ასევე გარე პერიმეტრზე. მოწესრიგებულია სველი წერტილები. სკოლას ჰყავს 4 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას, სველი წერტილების, დერეფნების დასუფთავებას. სკოლის ექიმის მიერ სისტემატიურად ხდება არსებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების შემოწმება. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები დაცულია სტანდარტის შეასაბამისად. სკოლიდან ნაგვის გატანას ახდენს დასუფთავების სამსახური. სკოლაში გადამდები დაავადების დაფიქსირების შემთხვევაში სკოლა აკეთებს დეზინფექციას. დირექტორს აქვს მზაობა ახალის სასწავლო წლიდან გამოყოს პირი, რომელიც მონიტონგს გაუწევს აღნიშნულ საკითხს და აღრიცხავს წესის შესაბამისად. ვინაიდან სკოლას არ აქვს შემუშავებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმები

შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტურად - ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

5. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და მის დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაციის გაცემა ხდება მხოლოდ თანამშრომელთან, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებით. მშობლისთვის მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გაცნობა ხდება ელექტროჟურნალის საშუალებით კონკრეტული მშობლისთვის განკუთვნილ სივრცეში, სადაც



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მხოლოდ თავისი შვილის/შვილების ქულებს და განმავითარებელ კომენტარებს ნახულობს. მატერიალური საკლასო ჟურნალები ინახება კანონმდებლობის დაცვით. სკოლის შინაგანაწესში დასაქმებულისათვის გათვალისწინებულია დისციპლინური სახდელი პერსონალური მონაცემის გამჟღავნებისათვის. ვინაიდან სკოლას არ წარმოუდგენია პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმები.

შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2023 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება N2-250 პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა მონაცემების შეგროვებას დამუშავებასა და დაცვას ახდენს, პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით, აღნიშნული გაწერილია თანამშრომლებთან და მშობლებთან დადებულ ხელშეკრულებებში, შინაგანაწესში. სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობლების თანხმობები მათი შვილების ფოტოებისა და სხვა მაიდენტიფიცრებული მონაცემების სოციალურ ან/და საჯარო სივრცეში გამოქვეყნების შესახებ. ცალკე დოკუმენტის სახით ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები სკოლას არ აქვს წარმოდგენილი. სკოლა მონაცემებს ამუშავებს, აგროვებს მხოლოდ კანონიერი საფუძვლით. სკოლაში არსებული ნებისმიერი ინფორმაცია დაცულია. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელია სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა მისი ფუნქციონირების დღიდან სკოლაში ნაწარმოებ დოკუმენტაციას ინახავს სპეციალურად გამოყოფილ ოთახში, რომელიც არის დაცული. ვინაიდან სკოლას არ წარმოუდგენია ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.

შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დოკუმენტურად - ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების დოკუმენტში. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა მუდმივად აკვირდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირებას შეხვედრებზე, კოლეგიალურ ორგანოთა სხდომებზე ხდება მათი შეფასება და შესაბამის ღონისძიებების გატარება, მრჩეველთა საბჭს სხდომაზე დაყენებულ იქნა საკითხი სკოლის გარე პერემეტრის მაყურებელი ვიდეოკამერების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

გამართვისა და სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე ტრანსპორტის გადაადგილების შეზღუდვის შესახებ, რაც დროის მოკლე მონაკვეთში იქნა მოგვარებული. რაც დადასტურებულია შესაბამისი დოკუმენტაციითა და ინტერვიუს გზით. შესაბამისად **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- *შუამდგომლობის წერილი სახანძრო უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროებლემის მოგვარების თაობაზე*
- *თამბაქოს მოხმარების აკრძალვის წესი,*
- *ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება*
- *ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შეძენის დოკუმენტი*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმი*
- *პანდემიის პიროებებში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა*
- *საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასა და უსაფრთხოებაზე პასუხუსმგებელი პირის შესახებ პრძანება*
- *ექიმის კაბინეტის აღჭურვილობის მიღება-ჩაბარების აქტი*
- *ხელშეკრულება დასუფთავების სამსახურთან*
- *პროექტის ფარგლებში დადებული შეფასება*
- *ფოტომასალა(მორიგეობის, სახანძრო სტენდის, ვიდეოკამერების, პროექტის ბულინგის მასალები)*
- *სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შეძენის დოკუმენტაცია;*
- *შესაბამისობის გეგმა;*
- *წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისაგან (13.10.2023.* MIA 2 23 03007967)

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სკოლა განთავსებულია მისამართზე: ზესტაფონი, კეკელიძის N14 -ში მდგარ შენობაში. აღნიშნულ მისამართზე არსებული ინფრასტრუქტურა სახელმწიფოსაგან მიღებულია უზურფრუქტის ხელშეკრულების საფუძველზე. შენობა უზრუნველყოფილია ცენტრალური წყალმომარაგებით, გათბობით, ელექტრომომარაგებითა და საკანალიზაციო სისტემით. სკოლის ეზო 9619 კვ. მეტრია. სკოლის მთელ ტერიტორიას ფარავს უკაბელო ინტერნეტის სისტემა, აღჭურვილია ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით. სკოლაში არის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისა და კომპიუტერების ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სასადილო, რესურსოთახი, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი. ამ ეტაპზე სკოლაში სწავლობს 642 მოსწავლე. ოთახები აღჭურვილია მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. ყოველწლიურად მიმდინარეობს ინვენტარიზაცია და მატერიალური რესურსების შეკეთება-განახლება. სკოლამ წარმოადგინა წერილი ლევან სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროსადმი მიწერილი შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შემოწმების შესახებ დასკვნის მოპოვების თაობაზე. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები, როგორიცაა კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, რესურსოთახი, სპორტული დარბაზი, სასადილო, სპორტული მოედანი, სველი წერტილები და მატერიალური რესურსი თანაბრად ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლაში ბიბლიოთეკის განახლება პერიოდულად ხდება. ბიბლიოთეკით სარგებლობა შეუძლია ყველა მოსწავლესა და მასწავლებელს. ბიბლიოთეკის მუშაობას წარმართავს ბიბლიოთეკარი. თუმცა, სკოლას არ აქვს საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სკოლას ჰყავს ექიმი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში

უზრუნველყოფს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ფიზიკურ უსაფრთხოებას. მნიშვნელოვანი რესურსია სკოლისთვის რესურსოთახი, რომლითაც ამ ეტაპზე სარგებლობს 20 სსსმ მოსწავლე, შედგენილი განრიგისა და საჭიროების შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს სასკოლო კვების ობიექტი - ბუფეტი, რომელიც იჯარითაა გაცემული. საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და მასში განთავსებული ხელსაწყოები თანაბრადაა ხელმისაწვდომი ყველა მოსწავლისთვის ვინც სწავლობს ბუნებისმეტყველებას, ქიმიას, ფიზიკას, ბიოლოგიას. კომპიუტერული ლაბორატორია წარმოადგენს საზიარო სივრცეს მოსწავლეებისა და მასწავლებლებისთვის, რომელსაც გამოიყენებენ, როგორც გაკვეთილების დასაგეგმად, ასევე დავალებების მომზადებისთვის. საჭიროების შემთხვევაში მოსწავლეებს და მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ კომპიუტერული რესურსი, როგორც საგაკვეთილო, ისე - არასაგაკვეთილო პერიოდში. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ  ესაჭიროებათ მეტი პროექტორი, რათა ყველას თანაბრად შეეძლოს გამოყენება და არ ჭირდებოდეთ წინასწარ შეთანხმება და გრაფიკის შედგენა მისი გამოყენებისათვის. ასევე, ყველასათვის ხელმისაწვდომია სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი და სპორტული ინვენტარი. ამ შემთხვევაშიც საგაკვეთილო ცხრილის დახმარებით ხდება ისე, რომ მაქსიმალურად არ დაემთხვეს გაკვეთილები, შესაბამისად, მოსწავლეებს შეუძლიათ სრულად და ჯეროვნად გამოიყენონ სპორტული სივრცე და აღჭურვილობა. სპორტის გაკვეთილისთვის ასევე იყენებენ სკოლის დიდ დერეფანს დაწყებითი კლასებისათვის. გარდა საგაკვეთილო პერიოდისა, მოსწავლეებს საშუალება აქვთ არასაგაკვეთილო პერიოდშიც გამოიყენონ სპორტული სივრცე, სპორტულ დარბაზთან ერთად -  სკოლის ეზოში არსებული სპორტული მოედანიც. ვინაიიდან სკოლას არ წარმოუდგენია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად დამუშავებული სასწავლო რესურსების კატალოგი.

შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლამ წარმოადგინა სკოლის ბიბლიოთეკის დებულება სათანადო წესით დამტკიცებული - სკოლის დირექტორის 2023 წლის 26 აპრილის ბრძანება 2-31. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

3. სკოლა უზრუნველყოფილია ყველა იმ საჭირო ინფრასტრუქტურული ერთეულით, რაც ხელს უწყობს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნას. სკოლაში არის ინდივიდუალური მერხები. სკოლის შენობას აქვს პანდუსი, მოსახერხებელია ეტლით მოსარგებლისთვისაც შენობაში შესვლა. შიგნითაა განთავსებული სველი წერტილები, მათ შორის - ადაპტირებულიც. მაგრამ სართულებს შორის გადაადგილებისათვის სკოლის დირექტორმა ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ხედავს ლიფტის დამონტაჟების საჭიროებას, ეტლით მოსარგებლისთვის უფრო მარტივი რომ იყოს გადაადგილება. სკოლაში საკლასო ოთახი აქვს დათმობილი აზიის განვითარების ფონდის მიერ დაფინანსებული პროფესიის ელექტროობის შესწავლას. ვინაიდან საერთო სარგებლობის სივრცეები როგორიცაა ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერებისა და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ლაბორატორია პირველ სართულზეა განთავსებული და შესაძლებელი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა ისარგებლოს **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. ამისათვის სკოლაში არსებობს ბიბლიოთეკა, გარე სპორტული მოედანი, სპორტული დარბაზი, სააქტო დარბაზი. სკოლის შემოსასვლელში განთავსებულია საქართველოს დროშა, გერბი და ჰიმნი. სკოლის ეზოში აღმართულია საქართველოს დროშა. . სპორტული სივრცე გამოყენებულია სპორტული შეჯიბრებებისა და ჩემპიონატების ჩასატარებლად, რომელიც სასკოლო თუ საქალაქო მასშტაბებით იმართება. სააქტო დარბაზი გამოიყენება პროექტებისა და ღონისძიებებისათვის. საკლასო ოთახებსა თუ დერეფნების კედლებზე და სივრცეებში ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა.**ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
5. გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, მხატვრული ლიტერატურა, ელექტრორესურსები, რუკები, პლაკატები მოსწავლისა და მასწავლებლისათვის ხელმისაწვდომია. სასკოლო კურიკულუმის შემადგენელი ნაწილია საგნობრივი კურიკულუმები, რომლებშიც გაწერილია ის რესურსები, რაც საგნის სწავლებისთვის წლის მანძილზე არის საჭირო. სკოლა ცდილობს შეიძინოს აღნიშნული რესურსები და უზრუნველყოს სწავლების მაღალ სტანდარტებზე განხორციელება. წლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მანძილზე სკოლაში დაგროვდა შეძენილი თუ შექმნილი (მასწავლებლების, მოსწავლეების) რესურსები, რომლებიც მრავალჯერადი გამოყენებისაა და წარმატებით ხდება მათი მოხმარება. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- საგნობრივი კურიკულუმი
- კათედრის ოქმები
- კომპიუტერების, სმარტ ეკრანის, ვიდეოკამერების მიღება-ჩაბარების აქტები
- იჯარის დოკუმეტაცია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა უზრუნველყოფილია აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით, მუდმივი ინტერნეტით. სკოლაში არსებული IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. ადმინისტრაციული მართვა და საქმისწარმოება მთლიანად ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით ხდება. სისტემატურად იყენებენ მასწავლებლები სასწავლო პროცესში ციფრულ ტექნოლოგიებს, ინტერნეტ რესურსებს. მათ გამოყენებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლაში მოქმედი WI FI -ის სისტემის როლი. ზოგჯერ წარმოიქმნება პრობლემა პროექტორის გამოყენების შემთხვევაში, როცა რამდენიმე მასწავლებელს ერთდროულად შეიძლება დასჭირდეს იგი. თუმცა ურთიერთ თანამშრომლობის და კომუნიკაციის მაღალი ხარისხი, რომლითაც ხასიათდება სასკოლო საზოგადოება იძლევა საშუალებას დროულად მოხდეს პრობლემის აღმოფხვრა. ამას ხელს უწყობს ასევე, კათედრის შიგნით და კათედრებს შორის ურთიერთგაზიარების გამოცდილებაც. სკოლას გაწერილი აქვს ციფრული განვითარების გეგმა, რომელიც კიდევ უფრო გააუმჯობესებს ინფრასტრუქტურულ მდგომარეობას და სწავლა-სწავლების ხარისხს. თუმცა მასწავლებლები ინტერვიუს დროს აღნიშნავდნენ, რომ მეტი პროექტორის არსებობა უფრო ეფექტურად წარმართავდა

საგაკვეთილო პროცესს. ვინაიდან სკოლას არ წარმოუდგენია სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლოატაციისა და სარგებლობის წესი.

შესაბამისობის გეგმის თანახმად, სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 18 სექტემბრის 2-205 ბრძანება, რომლის მიხედვითაც დამტკიცებულია მატერიალურის და არამატერიალური რესურსებით სარგებლობისა და ექსპლოატაციის წესი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ინტერნეტზე შეუზღუდავი და შეუფერხებელი წვდომა, რაც იძლევა საშუალებას IT ინფრასტრუქტურა იყოს ფუნქციონირებადი. დამონტაჟებულია WI FI მოწყობილიბები. ყველა კლასში და სამასწავლებლოში არის ინტერნეტთან წვდომა. .ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლეპტოპები, ინტერნეტი, პროექტორები, ქსეროქსის აპარატები მუდმივად, სტაბილურად ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. მათ აქვთ შესაძლებლობა ადგილზე მოამზადონ პრეზენტაციები, მოიძიონ საჭირო ინფორმაციები, ამობეჭდონ საჭირო მასალა და ა.შ. **ამიტომ ამ ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

1. *WIFI* -სა და ტექნიკის მიღება-ჩაბარების აქტები
2. *მატერიალური და არამატერიალური რესურსების სარგებლობის წესი.*

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს კანონმდებლობის დადგენილი წესით, როგორც ელექტრონულად, ისე - მატერიალურად. სკოლაში მიმდინარეობს გამოცემული აქტების, ხელშეკრულებების აღრიცხვა, შემოსული და გასული დოკუმენტების ელექტრონული აღრიცხვა, პერსონალისა და მოსწავლეების პირადი საქმის წარმოება. .სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელშიც შესატანია ცვლილებები კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლის საქმისმწარმოებელთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში შემოსული განცახებებისა და წერილების გატარება ხდება eflow-ში, ასევე დირექტორის მიერ გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტების გატარებაც, შემდეგ ამებეჭდვა და მატერიალური სახით შენახვა. ხდება შრომითი ხელშეკრულებების აღრიცხვაც. საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონულად. სკოლის ადმინისტრაციასა და თანამშრომლებს შორისაც ელექტრონული ფორმით მიმდინარეობს საქმისწარმოება, მაგრამ ამ პრაქტიკული საქმიანობის შესაბამისი პროცედურები არ არის გაწერილი საქმისწარმოების წესში. ასევე კანონმდებლობის დარღვევით არის გაწერილი მოსწავლის პირადი საქმის გაგზავნისა და შენახვის პროცედურები განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2013 წლის 22 აგვისტოს #113 ბრძანების ,,მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის დამტკიცების“ გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად. ვინაიდან სკოლას შესაბამისობაში აქვს მოსაყვანი არსებული საქმის წარმოების წესი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

შესაბამისობის გეგმით სკოლამ წარმოადგინა განახლებული საქმისწარმოების წესი, დამტკიცებული სკოლის დირექტორის 23 ოქტომბრის 2 -49 ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა eFlow. სისტემა არის სკოლის მართვისას აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. მათ შორის ელექტრონული საქმისწარმოებისათვის eFlow, eschool და ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge. ყველა თანამშრომელს აქვს წვდომა სამივე საშუალებასთან. Eflow, eschool და ელექტრონულ ფოსტაზე teachers.gov.ge საკუთარი გვერდები აქვთ თანამშრომლებს. ასევე იყენებენ ელექტრონულ ჟურნალს. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
3. ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის eschool-ის გადამოწმებამ აჩვენა, რომ ბაზაში ასახულია სკოლის შესახებ ყველა სახის ინფორმაცია. მათ შორის: სკოლის მონაცემები, მოსწავლეთა და მშობელთა მონაცემები, პერსონალის მონაცემები, სკოლის ბიუჯეტი, სკოლის მიერ შერჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოები, საგაკვეთილო განრიგი, კლასებისა და დამრიგებლების რაოდენობა, ხარისხის განვითარებისა და მხარდამჭერი ჯგუფის შესახებ ინფორმაცია, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ ინფორმაცია, საშტატო განრიგი და ა.შ. სკოლის პროფილი სრულყოფილია. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. ყოველი წლის 10 დეკემბრამდე კონტროლის განმახორციელებელ უწყებასთან სკოლა წარადგენს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ და იღებს შესაბამის უკუკავშირს. არაუგვიანეს 10 დეკემბრისა სკოლის დირექტორი ფინანსური და სასწავლო პროცესის შესახებ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. ასევე საგანმანათლებლო საქმიანობაში მარეგულირებელი უწყებებიდან მოთხოვნის შემთხვევაში მყისიერად და ეფექტურად ხდება ანგარიშის წარდგენა. ანგარიშის მომზადებაში ჩართულნი არიან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები და პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები*

- სკოლის eschool -ის გვერდი
- სკოლის eflow -ს გვერდი
- სკოლის ელექტრონული ფოსტა mes.gov.ge
- საქმისწარმოების წესი.
- 10 დეკემბერს გაგზავნილი ინფორმაცია.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით სკოლა იყენებს, სოციალურ ქსელს, სკოლის ფეისბუქგვერდს, ელექტრონულ ჟურნალს, ფოსტას, სატელეფონო კომუნიკაციას, საგანმანათლებლო პლატფორმას Microsoft Teams-ს, რათა სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმის ძირითადი საკითხები გაზიარებული იქნას სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლის შემოსასვლელ ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც სკოლა რეგულარულად აახლებს ინფორმაციებს. სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები აწყობენ საინფორმაციო შეხვედრებს მოსწავლეთა მშობლებთან, სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი საკითხების გაზიარებისა და განხილვის მიზნით. თუმცა, სკოლას, როგორც ასეთი, საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, არ წარმოუდგენია.

   შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 13 ოქტომბრის 2 – 253 ბრძანება, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ სხვადასხვა არხებით გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი. თუ ინფორმაცია ვრცელდება ოფიციალურად, მათ შორის სოციალური ქსელის სკოლის გვერდზე, ამ ინფორმაციის სანდოობასა და უტყუარობაზე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

პასუხისმგებელი პირი სკოლას არ ჰყავს განსაზღვრული, თუმცა ამ ფუნქციას ითავსებს დირექტორის მოადგილე. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ინფორმაციის გაცვლისას იყენებს ელექტრონული ფოსტას, სოციალური ქსელს, დახურულ ჯგუფებს, Teams-ს. ხდება მიღებული ინფორმაციის ანალიზი შემდგომი საქმიანობის უკეთ დაგემვა-განხორციელების მიზნით. მშობლებისა და მოსწავლეების ინტერესების გამოკითხვის მიზნით სკოლა იყენებს FORMS-ის კითხვარს. დამრიგებლები სისტემატიურად აწვდიან ინფორმაციას მშობლებს ინდივიდუალურად. პერიოდულად კი ტარდება მშობელთა კრებები. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
4. ვიზიტის ეტაპზე სკოლას არ ჰქონდა ვებ-გვერდი. თუმცა, სკოლაში ვიზიტის პერიოდში დირექტორის მოადგილე ესწრებოდა სსიპ-განათლების მმართვის საინფორმაციო სისტემის მიერ ჩატარებულ ვებინარს სკოლის ვებგვერდზე მუშაობის თაობაზე. სკოლას აქვს მზაობა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ შექმნილი ვებგვერდი აამუშაოს საჭირო ინსტრუქციის მიღებისთანავე.

   შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლამ წარმოადგინა მოქმედი ვებგვერდი, რომელზეც ინფორმაცია განთავსებულია ქართულ ენაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას აქვს მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამების სახელმწოდებები ცალ-ცალკე დოკუმენტების სახით. სკოლა გეგმავს აღნიშნული დოკუმენტების ვებ-გვერდზე განთავსებას, როგორც კი იგი გაიმართება და სკოლისთვის იქნება ხელმისაწვდომი.

   შესაბამისობის გეგმის თანახმად სკოლამ წარმოადგინა ყველა აღნიშნული ინფორმაცია განთავსებული ვებგვერდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- დოკუმეტი მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგიის შესახებ
- სკოლის შინაგანაწესი
- საინფორმაციო დაფა
- სკოლის სოციალური გვერდი
- სამოქალაქო კლუბის გვერდი
- FORMS-ის კითხვარი

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

### 3.7. ფინანსური რესურსები

### 3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი არის ვაუჩერული დაფინანსება. ასევე, სკოლას აქვს გაიჯარებული ფართი სკოლის ბუფეტისთვის. სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს დამატებით ფასიან მომსახურებას. სკოლაში მოქმედებს ორი ფასიანი წრე: ცეკვისა და გახანგრძლივებული. შემოსავლების უმნიშვნელოვანესი ნაწილი მიმართულია იმ პრიორიტეტებზე, რომელიც სკოლის სამოქმედო გეგმითაა განსაზღვრული. სკოლა ახარხებს საჭიროებების დაკმაყოფილებას, სკოლისთვის საჭირო რესურსების შეძენას, კომუნალური გადასახადების გადახდას, მასწავლებელთა წარმტების წახალისებას. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
2. ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობას ღებულობს სასკოლო საზოგადოება. დირექტორი მუდმივად ახორციელებს შემოსავლის და გასავლის მონიტორინგს . სკოლაში თანხების განკარგვა ხდება სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით. წლის მანძილზე შესყიდვების გეგმის განხორციელება და ბიუჯეტის განკარგვა ხდება შესყიდვების ხელშეკრულებების საფუძველზე. 10 დეკემბრამდე დირექტორი ფინანსურ ანგარიშს აბარებს სამეურვეო საბჭოს. მიუხედავად იმისა, რომ შესყიდვების გეგმა და ბიუჯეტი დამტკიცებულია წინა წელს, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სათანადო წესების დაცვით მასში ცვლილებების შეტანა, რაც უფრო მოქნილს ხდის სკოლის ფინანსურ

მართვას. ბუღალტერი შეყიდვების შემთხვევაში ახდენს ბაზრის კვლევას. სკოლას შემუშავებული აქვს შესყიდვების განხორციელების წესი. სკოლას წარმოდგენილი აქვს ვიდეოკამერების შესყიდვების დოკუმენტი, ლეპტოპების მიღება-ჩაბარებები. **ინდიკატორთან მიმართებით სტანდარტის მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ბიუჯეტის პროექტი
- კორექტირებული ბიუჯეტი
- კორექტირებული შესყიდვების გეგმა
- კომუნალურის გადახდები
- რესურსების შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტი
- შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირის დანიშვის ბრძანება
- შესყიდვების განხორციელების წესი
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დირექტორის ანგარიშისა და 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების თაობაზე.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ხელმძღვანელობს სასკოლო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობით შემუშავებული შინაგანაწესით. მასში გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მათი დაცვის გარანტიები. დოკუმენტში მოცემულია მოსწავლეთა უსაფრთხოება, ხარისხიანი განათლების მიღების უფლება, უფლებების შესახებ ინფორმირებულობა, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა, გამოხატვის, შეკრების და რწმენის თავისუფლება. სკოლას ჰყავს შენობაში შემომსვლელ-გამსვლელ პირებზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც აკონტროლებს უცხო პირთა შემოსვლას სასკოლო დროს სკოლის ტერიტორიაზე; არსებობს ვიდეო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მონიტორინგი და მანდატურის სამსახური. მოსწავლეთა უსაფრთხოება დაცულია. მოქმედებს საშვების სისტემა და მანდატურის სამსახური. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებაში სხვადასხვა ხერხით. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე; დამრიგებლებს შემუშავებული აქვთ სადამრიგებლო პროგრამები, რომელთა საშუალებითაც ხდება მოსწავლეთა უფლებების და მოვალეობების გაცნობა მოსწავლეებთვის და მათ მშობლებისთვის. ინტერვიურებისას დადასტურდა, რომ პირველ მშობელთა კრებაზე დამრიგებელი მათ აცნობს შინაგანაწესსა და ბავშვის კანონით გათვალისწინებულ უფლებებს, რაც დასტურდება მშობლების ხელმოწერით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის დადებულია ხელშეკრულება. მკაფიოდაა გაწერილი უფლებები და მოვალეობები. გათვალისწინებულია მოსწავლის კანონიერი ინტერესები, უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის გარანტიები, ხარისხიან ცოდნაზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები;
- საინფორმაციო დაფა;
- სადამრიგებლო პროგრამები.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. დაწესებულებაში ვიზიტისა და შესაბამისი დოკუმენტაციის დათვალიერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა, ამორიცხვა და მობილობა ხდება ვადებისა და კანონმდებლობის სრული დაცვით. აღნიშნული უზრუნველყოფილია სათანადო მარეგულირებელი დოკუმენტაციით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. ექსტერნის შემთხვევაში მშობელი ინფორმირებულია წინასწარ, სანამ გაცდენილი საათების რაოდენობა გადააჭარბებს დასაშვებ ზღვარს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა უზრუნველყოფს მშობლებისათვის სკოლაში არსებული კლუბების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირებისათვის თიმსის პლატფორმაზე, მეილების, მესენჯერ ჯგუფების, სკოლის facebook-გვერდის მეშვეობით, სკოლის საჯარო სივრცეში, საინფორმაციო დაფაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

4. სკოლაში ინფორმაციის გავრცელება ხდება კანონმდებლობის შესაბამისად, მისი ყველა დოკუმენტი გამჭვირვალეა და თანხვედრაშია განათლების შესახებ საქართველოს კანონთან. მათი გაცნობა სასკოლო საზოგადოებისათვის და ყველა დაინტერესებული პირისათვის ხორციელდება საჯაროდ: საინფორმაციო დაფის, სოციალური ქსელების, მეილებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- ხელშეკრულებები;
- საინფორმაციო დაფა;
- სადამრიგებლო პროგრამები.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

### 4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

#### 4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ამ ეტაპისათვის სკოლას ფორმალური დოკუმენტი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციას **არა გააჩნია,** თუმცა ინტერვიურებისას გამოიკვეთა კონკრეტული გამოცდილება, დასახელდა მაგალითები, პედაგოგებმა აღწერეს მიდგომები, რომლებიც მოწმობს სკოლაში მსგავსი გამოცდილების არსებობას. სკოლას გააჩნია სათანადო ინფრასტრუქრუტა სსსმ მოსწავლის მიღების შემთხვევაში. სსსმ მოსწავლის დარეგისტრირების შემთხვევაში სკოლის ადმინისტრაცია და სპეც. მასწავლებელი მშობელთან თანამშრომლობას იწყებენ. სასწავლო პროცესის დაწყების დღეს მასწავლებელი მოსწავლეებს აცნობს სკოლის ინფრასტრუქტურას, ქცევის წესებს, ქმნის პოზიტიურ განწყობას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

მობილობის შემთხვევაში ჩარიცხულ მოსწავლეს მშობელთან ერთად გაესაუბრება ადმინისტრაცია, აცნობს დამრიგებელს, შემდეგ კი დამრიგებელი აცნობს კლასს რათა მოსწავლემ მარტივად გაიაროს კლასთან ადაპტაცია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საკლასო ოთახებში ასაკის შესაბამისი მერხები და სკამებია დალაგებული. სკოლას აქვს პანდუსი და ადაპტირებული საპირფარეშო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისა და სწავლის პროცესის მხარდაჭერის საკონსულტაციო სისტემა. სკოლაში **მოქმედებს რემედიაციის პროგრამა,** გამოცდებისა და სადიაგნოსტიკო შეფასებების დაწყებამდე ხდება მოსწავლეთა მხარდაჭერა საჭიროებების შესაბამისად კონსულტირებისა და რემედიაციის გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; მაგ: ფსიქოლოგის დროული კონსულტაცია. ექიმის მყისიერი მხარდაჭერა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლა ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლეთა მონაწილეობას სხვადასხვა ტიპის არაფორმალურ აქტივობებში. კერძოდ, გარემოს დაცვა, ადამიანის უფლებები, კულტურული მემკვიდრეობა, პროფესიული ორიენტაცია, სამოქალაქო განათლება და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების ხელშემწყობი კლუბები. დასტურდება მოსწავლეების ჩართულობა ადგილობრივ ღონისძიებებში რაიონის მასშტაბით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას გააჩნია მოსწავლეებთან უკუკავშირის მექანიზმი სხვადასხა პლატფორმის გამოყენებით (კითხვარები, თვითმმართველობა, დამრიგებლების უკუკავშირი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერება.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის განვითარებას სხვადასხვა პროექტებისა და აქტივობების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის დროს ინტერვიუებში დაგვიდასტურეს, რომ დამრიგებლები კლასის საათის ფარგლებში ატარებენ საუბრებს მოსწავლეებთან კარიერული დაგეგმვის მიმართულებით. სკოლა ასევე პერიოდულად უზრუნველყოფს სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლების საინფორმაციო შეხვედრის ორგანიზებას, იწვევს მშობლებს სხვადასვხა პროფესიებზე სასაუბროდ და აქვს პროფესიული განათლების პროგრამები.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

2. სკოლა მუდმივად ცდილობს აუმაღლონ მოსწავლეებს ცნობიერების დონე პროფესიებთან დაკავშირებით. დამრიგებლები ხშირად გეგმავენ შეხვედრებს მოსწავლეებთან პროფესიების შესახებ.თემში საჭიროებების დასადგენად კვლევები ჩაატარა აზიის განვიტარების ფონდმა, გამოკვეთა თემის საჭიროებები დაგეგმა მანქანათმშენებლობისა და გრაფიკული დიზაინის შესასწავლი კურსები. სკოლა თანამშრომლობს რაიონში არსებულ პროფესიულ სასწავლებელთან „კონსტრუქტ 2“-თან, განხორციელდა სასწავლებელსი მოსწავლეების ვიზიტი.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სადამრიგებლო პროგრამები;

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას**

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლას შემუშავებული აქვს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, ისგ, ადაპტირებული ღონისძიებები, ჯგუფი. ისგ შემუშავებულია ისგ-ს ჯგუფის მიერ მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნაში მოცემული რეკომენდაციების გათვალისწინებით. სსსმ მოსწავლის განვითარება მხარდაჭერილია სკოლის სასწავლო გეგმით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სსსმ მოსწავლეებთან მუშაობს სპეციალური მასწავლებელი და სკოლა ასევე მიმართავს ცნობიერების ამაღლების კამპანიას თემსა და სკოლაში. სკოლაში დანერგილია ტრადიცია , რომელიც გულისხმობს ტიპური განვითარების მოსწავლეების ჩართულობით სსსმ მოსწავლეების სწავლის ხარისხის გაუმჯობესებას.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- მულტიდისციპლინური ჯგუფის შეხვერის ოქმიები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესის გათვალისწინებით იჯარით გაცემული აქვს ფართი გახანგრძლივებული ჯგუფების, ცეკვის და მუსიკის წრის ფუნქციონირებისათვის. სკოლას ჰყავს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში ემსახურება 4 ტრანსპორტი, რომლითაც სარგებლობენ მოსწავლეები 4 მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ფართის იჯარით გაცემისათვის სკოლას სამეურვეო საბჭოს ნებადართული საქმიანობის ნუსხის დამტკიცების და იჯარით გაცემაზე ნებართვის საფუძველზე თანხმობისათვის მიმათავს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

3. სკოლაში არსებობს ვიდეოკამერები, ტრანსპორტზე მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ჰყავს „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში გაფორმებულ ხელშეკრულებაზე მონიტორინგის განხორციელებაზე უფლებამოსილ პირი შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

## ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

### I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)** | **X შეესაბამება**<br>**☐ მეტწილად შეესაბამება**<br>**☐ ნაწილობრივ შეესაბამება**<br>**☐ არ შეესაბამება** |
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | X შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. დოკუმენტი ასევე არსებობს დამტკიცებული სახით. დადასტურდა, რომ მაგალითად, საბუნებისმეტყველო კათედრის პედაგოგები კურიკულუმების შემუშავების პროცესში ერთმანეთთან თანამშრომლობენ, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს. აღსანიშნავია ასევე, რომ კურიკულუმის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ იქნა სასკოლო საზოგადოების ყველა წევრის - მოსწავლის, მშობლის ინტერესები, რომელიც გამოვლენილ და დადგენილ იქნა გამოკითხვის (პირადი შეხვედრები, მშობელთა კრება, სოციალური ქსელი) მეთოდით. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სამომამვლოდ გეგმავენ სასკოლო საზოგადოება, მათ შორის მოსწავლეები და მშობლები მეტად ჩართონ კურიკულუმის შემუშავების პროცესში და გაითვალისწინონ მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში სრულად არის ასახული სასკოლო საზოგადოების ინტერესები. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში თემები, დავალებები, რესურსები, ძირითადი კონტექსტ მაგალითები და მაგალითები შედარებისთვის შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებთან. კურიკულუმებში ჩაშენებულია ესგ-ით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები, სამიზნე ცნებები და მაკროცნებები , გეგმა ორიენტირებულია მოსწავლეთა გლობალურ ფუნქციურ უნარებზე ,რაც დასტურდება სკოლის მიერ დაგეგმილ და უკვე განხორციელებული საკლასო თუ სასკოლო აქტივობებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. როგორც დოკუმენტურად, ასევე ინტერვიურების პროცესში დადასტურდა, რომ კათედრის შეხვედრაზე მასწვლებლები ერთობლივად შეიმუშავებენ საგნობივ კურიკულუმებს. კათედრის სხდომის ოქმების და ინტერვიუზე მიღებული ინფორმაციის საფუძვლზე ნათელი ხდება რომ, კურიკულუმის შემუშავება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების მიერ მთელი წლის მანძილზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი სრულიად გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. დადასტურდა, რომ პედაგოგები მშობლებს სასწავლო წლის მანძილზე აცნობენ კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შუალედურ მიზნებს . ამ მიზნით იყენებენ პირისპირ ჩატარებულ კრების ფორმატს; გარდა ამისა, მასწავლებლებს და მშობლებს სოციალური ქსელში აქვთ საერთო, კლასის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

ფეისბუქ-ჯგუფები, სადაც პერიოდულად ხდება მშობელთა ინფორმირება, სასწავლო საკითხების და კომპლექსური დავალებების გაცნობა მშობლის ზარათის მეშვეობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

- კურიკულუმები;

**2.2.1. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. სკოლამ წარმოადგინა დაწყებითი საფეხურის ყველა კლასის კურიკულუმის ჩარჩო, რომლებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ დაგეგმვისა და განვითარების გზას. არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მათ მიერ შემუშავებულ საგნობრივ კურიკულუმის ჩარჩო - ცხრილებში სრულად სწორად არის განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შესაბამისი რესურსები. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. შემუშავებული კურიკულუმი/ები სრულად წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმებში შეტანილი თემები მოსწავლეებს სთავაზობს ნაცნობ, მათი ასაკობრივი ინტერესების შესაბამის კონტექსტებს, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების (შედეგების, ცნებების, კონკრეტული საკითხების) ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას იძლევა.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს; წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები, რომლებიც მოსწავლის წინარე ცოდნას, გამოცდილებას, შესაძლებლობას ეყრდნობა, იძლევა მოქნილ სასწავლო გარემოს. კათედრაზე სსსმ მოსწავლეებისთვის შეიმუშავებენ ინდივიდულურ სასწავლო გეგმებს. კათედრაზე დაგეგმილი პროექტები ხელს უწყობს სხვადასხვა შესაძლებლობების, პოტენციალის და საჭიროებების მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

------------------------

------------------------

4. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლის მიერ 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებამდე პედაგოგების მიერ იგეგმება განმავითარებელი რუბრიკების შექმნა ყოველი კონტექსტ - მაგალითის მიმართ და განმასზღვრელი რუბრიკის შექმნა შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად შესასწავლი თემებისთვის.სხვა მხრივ არსებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება სრულად მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

დაწყებითი საფეხურზე **საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკა წარმოდგენილი არ არის,** მაგრამ სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობით, სასკოლო სასწავლო გეგმითა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად მიღებული ინფორმაციით დასტურდება, რომ სკოლა იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს. სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც ორიენტირებულია ცალკეული აქტივობების განხორციელების შეფასებაზე, ხოლო კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებით განხორციელდება განმავითარებელი შეფასება. სასკოლო სასწავლო გეგმით და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ შეფასება სწავლა-სწავლების პროცესის განუყოფელი ნაწილი და შედეგების გაუმჯობესების საშუალებაა. ინტერვიურების დროისთვის მასწავლებლებს მომზადებული ჰქონდათ და წარმოადგინეს განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემის ფარგლებში მოსწავლეთა შედეგების ინდიკატორების მიმართებით, ხოლო განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გრძელვადიანი მიზნების მიმართებით.**ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაგეგმვის პროცესში სრულად გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი. საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას კათედრაზე ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებებსა და გამოწვევებს როგორიცაა: მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგების,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

მშობლების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები. პედაგოგები ასევე აქტიურად თანაშრომლობენ ადმინისტრაციასთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტეგრირებული გაკვეთილების დამადასტურებელი მასალებიდან ჩანს, რომ საკლასო აქტივობები გათვლილია საგანთაშორის კავშირების დემონსტრირებაზე . და ემსახურება მოსწავლეთა ცოდნის სისტემატიზაციას . **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- ინტეგრირებული გაკვეთილების დამადასტურებელი მასალები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ამის მტკიცების შესაძლებლობას საგნობრივ კურიკულუმში მოცემული თემები და შემოქმედებითი კომპლექსური დავალებები. ისინი აძლევენ მოსწავლეს შეიძინოს ცოდნა, იმსჯელოს, მოძებნოს პრობლემის გადაჭრის გზები და დაგეგმოს მიზნობრივი ქმედებები. გამოწვევები დაკავშირებულია მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებასთან და მიემართება სამიზნე ცნებების გააზრებამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები მოსწავლისთვის არის ნაცნობი კონტექსტი, რომელიც ეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში და გააზრებაში. ასევე მოცემული თემები სთავაზობენ მოსწავლეებს აზრიან, შინაარსიან კონტექსტებს, რაც მნიშვნელოვანია მოსწავლის შემეცნების სუბიექტად გადაქცევისა და მისი შინაგანი ძალების გააქტიურებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ ძირითად საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ტიპის დავალებები შეიცავს საკვანძო შეკითხვებს. დავალებაზე მუშაობის პროცესი იძლევა მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილებისა და ცნობისმოყვარეობის წახალისების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4.სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური ბუნების დავალებები წარმოადგენს ცოდნის სამივე



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------

-------------------------

-------------------------

კატეგორიაზე მუშაობის კარგ მაგალითებს. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული კომპლექსური დავალებები იძლევა ნათელ სურათს თუ როგორ ხდება სხვადასხვა ცოდნათა ორგანიზება და დაკავშირება დავალების პროდუქტის შესაქმნელად. საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები არის მოსწავლის გამოცდილების კონტექსტი, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო მასალის კავშირს მოსწავლის ცოდნას, მის ინტერესებსა და წარმოდგენებთან. თემა ქმნის მოსწავლის პიროვნულ მოქმედების არეალს. აღსანიშნავია ინტერვიუზე მასწავლებლის მიერ გაზიარებული პრაქტიკა ინტეგრირებული პროექტების შესახებ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
- კომპლექსური დავალებები.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -------------------------
-------------------------
-------------------------

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასწავლო პროცესი წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. არის საგნები საფეხურზე, რომელთა ფარგლებში არ არის წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და ასევე თემები რომლის ფარგლებში არ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება რიგ საგნებში. აღსანიშნავია რომ,წარმოდგენილი კურიკულუმები **სამუშაო პროცესშია და ის დოკუმენტაცია, რაც წარმოდგენილია, სრულად შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს.** სკოლაში არსებობს მზაობა, გამოცდილება და კომპეტენცია ახალი სასწავლო წლისათვის სრულფოყილად შექმნას ყველა საგნის კურიკულუმი. რიგ შემთხვევებში ასევე უნდა დაზუსტდეს **რესურსების ჩამონათვალი. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში მოცემული თემები წარმოადგენს მოსწავლისთვის ნაცნობ, აზრიან, შინაარსიან კონტექსტს, რომელიც ახდენს მის შინაგანი ძალების გააქტიურებას. უზრუნველყოფს მის აქტიურ ჩართულობას რაც დავალებაზე მუშაობის პროცესში იწვევს მის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე, რის საფუძველსაც იძლევა წარმოდგენილი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. სასურველია ყველა კათედრამ ეტაპობრივად შექმნას კომპლექსური დავალებისთვის განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბუნებისმეტყელო კათედრის პედაგოგებს გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

განმსაზღვრელი შეფასების არსი. არსებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო,ობიექტური, სამართლიანი. კათედრების მიერ წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ინსტრუმენტებს წარმოადგენს კომბინირებული შემაჯამებელი დავალებები. რუბრიკები ვალიდურია შესაფასებელი დავალებების შინაარსთან. დადასტურდა, რომ რუბრიკებს იცნობენ მოსწავლეები და პედაგოგები პერიოდულად უზიარებენ მშობლებს შეფასებასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ ინფორმაციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის არაფორმალური მექანიზმი. ამ ეტაპზე სკოლაში არ აქვთ ვერიფიკაციის რაიმე დოკუმენეტი. სკოლის თვიშეფასების ფორმიდან დგინდება, რომ იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დახვეწილი მექანიზმის შექმნა, სადაც გაწერილი უნდა იყოს სხვადასხვა ასპექტი: ვინ იქნება შეფასების სისტემის ვერიფიკაციაზე პაუსხიმგებელი/შეფასების განმახორციელებლი რგოლი, ვერიფიკაციის პროცესის აღწერა და სხვა. ამჟამად სასწავლო წლის დასაწყისში სკოლაში ადგენენ და კათედრაზე განვიხილავენ სხვადასხვა დავალების/აქტივობის შეფასების რუბრიკებს. დირექცია და შეფასების ჯგუფი გაკვეთილებზე დასწრებისას აკვირდება სხვადასხვა დავალების შეფასების მექანიზმს. მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლისთვის რეკომენდაციების მიცემა.

სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე და კათედრები ჩართულები არიან შეფასების სისტემის შექმნასა და მის მონიტორინგში. ხდება მოსწავლეთა შეფასების ანალიზი.

შესაბამისობის გეგმით სკოლას არ წარმოუდგენია ვერიფიკაციის დოკუმენტი, თუმცა ატვირთულია საიტზე. აქედან გამომდინარე, **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაუზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ------------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------
------------------------
------------------------

და შეგროვებულ დოკუმენტაციას გადაეცემს ადმინისტრაციას, შენახვისა და შემდგომი გამოყენების მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**დასტურდება (მტკიცებულებები):**

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმები;
- შეფასების რუბრიკები;
